ხელშეკრულება № 15/02 -98

ქ. თბილისი 2 სექტემბერი 2011 წ.

ერთი მხრივ, **სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,** მისი დირექტორის ბუბა კუდავას სახით (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორე მხრივ, შპს „დეგაპრინტი“, მისი დირექტორის ლ. სოხაძის სახით, შემდგომში „შემსრულებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსრულებელი ვალდებულია საზაფხულო სკოლის (”ქართული დამწერლობა”) ფარგლებში დაამზადოს ბეჭდური მასალა (სტიკერი, ბანერი).

1.1. დაკვეთილი საქონლის ხარისხი, ღირებულება და ოდენობა განსაზღვრული იქნება ანგარიშ-ფაქტურის, სასაქონლო ზედნადებისა ან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელიც დაერთვება ამ ხელშეკრულებას და იქნება მისი განუყოფელი ნაწილი.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 „შემსრულებელი” ვალდებულია შეასრულოს ზემოთ აღნიშნული სამუშაო.

2.2 „დამკვეთი“ ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში თანხის გადახდის პირობები, რაოდენობა, თანმიმდევრობა და ვადები.

2.3 მხარეები ვალდებულნი არიან დროულად და ჯეროვნად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3. მხარეთა შორის ანგარიშსწორება

3.1 მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

3.2 სახელშეკრულებო თანხის - 80,80 ლარი - ანაზღაურება „დამკვეთის“ მიერ მოხდება მხარეების მიერ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერიდან არაუგვიანეს ათი დღისა.

4. დამატებითი პირობები

4.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით წერილობითი ფორმით, რომელიც აღნიშნული ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია.

4.2 სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით.

4.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან 2011 წლის 20 სექტემბრამდე.

6. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსრულებელი”

შპს „დეგაპრინტი”
ქ. თბილისი, ვირსალაძის ქ № 8
საბანკო რეკვიზიტები:
თიბისი ბანკი ც/ფ
კოდი 220101830
ს/კ 204444477
ა/ნ 101 467 543

ლ. სოხაძე
შპს „დეგაპრინტის”-ს დირექტორი

„დამკვეთი”

სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი თბილისი, მ. ალექსიძის ქ. 1/3
საბანკო რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკის ც/ფ
კოდი 220 101 502
ს/კ 211 368 474
ა/ნ 173942100

ბუბა კუდავა
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი